საქართ. შეერთებული სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ხუთშაბათი ოქტომბრის 5 1922 წ.

ტფილ. ფასი 50ს მან. ▭ პროვინც. 5000 მან.

## ახლო აღმოსავლეთის გარშემო

ახლო აღმოსავლეთის გარშემო მეტად სერიოზული ხასიათის პოლიტიკური კომბინაციები იხლართება. ზღვაზედ ბატონობა იგივე მსოფლიო ბატონობაა და ამიტომ საკვირველი არ არის, რომ დიდი ქიდილის წინაშე ვდგევართ სრუტეების საკითხის ირგვლივ.

როგორც ვიცით, მოკავშირეთა მიერ მოწვეული სამშვიდობო თათბირის წინ უკვე საომარი ოპერაციებისათვის მზადება სწარმოებს ყოველი მხრივ და ინგლისის გენერალი გარინგტონი წინადადებას აძლევს ქემალ ფაშას, რომ არ უნდა იქნეს დარღვეული ნეიტრალური ზონა, წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელი იქნება კონფლიქტები.

ანგორის მთავრობამ ოფიციალურად აცნობა პარიზის კაბინეტს, რომ იგი თანახმაა საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღებაზე, რომლის დროსაც შეწყვეტილ იქნება სამხედრო მოქმედება, მაგრამ ანგორა ამასთანავე დაჟინებით მოითხოვს ფრაკიის ევაკუაციას, რომლის შემდეგ იგი ანგორის ხელში უნდა გადავიდეს.

მოკავშირეთა პასუხში აღნიშნულია, რომ მუდანიის კონფერენციას სავსებით მოელის, თუ ანგორის მთავრობა უარს განაცხადებს ნეიტრალური ზონიდან ჯარის გაყვანაზედ. ისინი თანხმდებიან ფრაკიის ევაკუაციას, მაგრამ სტრატეგიულ პუნქტებს ამაგრებენ და აყენებენ სპეციალური კომისიის შედგენის საჭიროებას, რომელიც განაგებს ფრაკიის საქმეებს ზავის ჩამოგდებამდე.

როგორი მიმართულებაც არ უნდა მიიღოს არსებულმა ძალთა განწყობილებამ ახლო აღმოსავლეთში, აქედან აშკარად სჩანს ის მთავარი მამოძრავებელი ინტერესები, რომლითაც ხელმძღვანელობენ ერთი მხრით ანგორა და მეორე მხრით ევროპის ქვეყნები.

ანატოლიის მოძრაობა აჯანყებაა ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამ მოძრაობის უკანასკნელმა გამარჯვებებმა საბერძნეთის ავანტიურის წინააღმდეგ, რის პასუხისმგებლობას კისრულობს ინგლისის კაბინეტი, თანახმად ბალფურის ნოტის განცხადებისა, რომელიც ამართლებს ბერძნების მოქმედებას, ხაკ- მხოლოდ შეარყია ცენტრის პოლიტიკის მესვეურთა სულიერი ვითარება.

ინგლისის პოლკოვნიკი რეპინგტონი, აღნიშნავს, რომ ანგორას შეუძლია დაიკავოს სრუტეები და ამით მას საშუალება აქვს ჩაკეტოს კარები ევროპიელებისათვის.

ინგლისი, რომელიც „ღია კარების“ იდეით გამოდის, სრული დარწმუნებულია, რომ ოსმალეთისა და რუსეთის განადგურებული ფლოტი „ღია კარებში“ ვერ შეედავება მას და ფაქტიური ბატონობა ზღვების ისევ ინგლისს დარჩება.

ინგლისი სასიცოცხლოდ დაინტერესებულია სტამბოლით და „ფელდ ტელეგრაფის“ ცნობის თანახმად, ლონდონში მტკიცედ გადაწყვეტილია, რომ, რაც არ უნდა დაჯდეს, ძველად უნდა იქნეს სტამბოლი და სრუტეები.

ამ რიგად ვენეციის კონფერენციისათვის არ შეიძლება ოპტიმისტური დიაგნოზის დაება.

შინაარსაც ალბად სჯერა ამ კონფერენციის ნაყოფიერება და იგი წინადადებას იძლევა წინასწარი შეთანხმებისათვის ახლო აღმოსავლეთის საკითხში მოკავშირეების მიერ.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის, რუსეთისა და უკრაინის ინტერესები მოითხოვენ, რომ კონფერენციაში მათ ქონდეთ მონაწილეობის უფლება. ამ ქვეყნებმა უკვე განაცხადეს პროტესტი კონფერენციაზე მოუწვევლობის გამო და არ სცნობენ სავალდებულოდ კონფერენციის დადგენილებებს.

ამ რიგად, რამდენადაც წინასწარი პირობების გათვალისწინება გვაძლევს საშუალებას, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ვენეციის კონფერენცია ერთი იმ კონფერენციათაგანი იქნება, რომლების სრული დამარცხების მოწმენი ჩვენ ვიყავით ახლო წარსულში.

სრუტეების საკითხი უნდა გადაწყდეს ან ყველა დაინტერესებულ ქვეყნების მონაწილეობით და ურთიერთ შეთანხმებით ან და იარაღით, რომლის ჟღარუნი უკვე გაისმის.

ახლო მომავალი დაგვანახვებს აღმოსავლეთის კვანძის ასე თუ ისე გახსნას.

ხ.—ძე

## თურქული პრესა

სტამბოლის გაზეთი „ილერში“ დაბეჭდილია შემდეგი ცნობა.

გუშინ ბანდერმიდან ერთმა პირმა ჩვენ რედაქციაში შემოიარა და ბერძნების დივიზიის მიერ ბანდერმის რაიონში ჩადენილი სიმხეცისა და მტარვალობის შესახებ შემდეგი განმარტება მოგვცა.

ყარაჯამეგიდან სამშაბათს გამოვედით, კვირას შუადღისას თურქების შეტევით უკან დახეული ბერძნების დივიზია ყარაჯამეგში შემოვიდა. ყარაჯამეგი მაზრას წრე შემოავლეს, დივიზიის ნაწილები დაბა ქალაქებში მოფანტეს, ჯერ ერთს კუთხის საუკეთესო სახლებს შეესიენ და მათ გაძარცვას შეუდგნენ.

ამ ძარცვა-გლეჯამ სალამომდე გასტანა და მზის ჩასვლისას მცხოვრებლების ბინებსაც შეესივნენ და დედა-კაცებს სამაჯურების და სამკაულების დატაცებას შეუდგნენ.

ამ ძარცვა-გლეჯის შემდეგ, დილით დაბა-ქალაქს ათი ადგილიდან ცეცხლი მოუკიდეს და ქალაქი სულ ერთიანად გადაიწვა. ქალაქ-დაბიდან გაქცეულ მამაკაცებისათვის ბერძნების ჩეთნიკებსა და ჯარის-კაცებს ყურები და ცხვირები დაუჭრიათ და დედაკაცებისათვის კი ნამუსი აუხდიათ. მთებში შეხიზნულ მცხოვრებლებს თავი შეუყარეს და სახლებში დაამწყვდიეს და ყველას ერთად ცეცხლი გაუჩინეს და დასწვეს. 4,500 კომლისაგან შემდგარი ყარაჯამეგის დაბა-ქალაქში ერთი სახლიც კი არ გადარჩენილა. დაბა-ქალაქის 13,000 სულიდან მხოლოდ ხუთასი სულიღა გადარჩა. აქაური მკვიდრი მცხოვრებლები სომხები და ბერძნები საბერძნეთის დივიზიის მიერ იქმნა წაყვანილი. ფონანლი, შაპანა, ყარაპუ, პაჯით ფუნარი, კაზილ ფუნარი, არიზქიოი ქიშლიქი, ავჯი ფუნარი და ტულლას სოფლები სულერთიანად გადაიწვა, საქონლები წაასხეს და მცხოვრებლების შესახებ კი არავითარი ცნობა ჯერაც არაა მიღებული—თუ რა ბედი ეწვიათ.

## დრამატიული სტუდია.

დღეს ჩვენ გაზეთში მოთავსებულია რეცენზია ქართულ დრამატიულ სტუდიის გახსნაზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი შინაარსით დრამატიული სტუდია ჩვენი ქვეყნისათვის ახალია.

მხოლოდ დიდი ენერგიის დახარჯვას და დიდ მუშაობას უნდა მიეწეროს დღევანდელ პირობებში დრამატიული სტუდიის დაარსება, რომელსაც ხელმძღვანელობს რეჟისორი აკაკი ფაღავა.

ამას წინეთ ჩვენ გვქონდა შემთხვევა თეატრის შესახებ გამოგვეთქვა ჩვენი აზრი და ხაზს ვუსვამდით იმ გარემოებას, რომ ჩვენში სტუდიის საჭიროება აუცილებელია, რომ ამიერიდან შეუძლებელია თეატრალურ საქმეში მოუმზადებელი მსახიობების გაბატონება.

უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს ნაკლი, რომლის თავიდან აშორების გარეშე შეუძლებელი იყო ჩვენი თეატრალური საქმის განვითარება, უკვე შევსებულია.

სტუდიის ხელმძღვანელს, რეჟისორს აკაკი ფაღავას, მთელი თეატრალური ძალები შეუკრებია ქართულ სტუდიის გარშემო და ამ მხრივ საუკეთესო პირობები შეუქმნია სტუდიის ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს დრამატიულ სტუდიას. ვფიქრობთ, აღარ დაგვჭირდება იმ დებულების გამეორება, რომ, მსახიობისათვის, როგორც შემოქმედისათვის საჭიროა არა მარტო ბუნებრივი ნიჭი და მოხდენილი გარეგნობა, არამედ ბუნებრივი ნიჭის ისე ჩამოსხმა, მისი გამოყენება ისე და იმ გვარად, რომ მიღწეულ იქნას ხელოვნური შემოქმედების უმაღლესი სახე.

მსახიობი, რომელიც ვერ ფლობს თავის ხმას, თავის გრძნობას, თავის მეტყველებას, თავის გრაციას, იგი არ არის მსახიობი, ხოლო იგი ვერ დაეუფლება მას, ვერ დაიჭერს თავის ბუნებრივ ნიჭს, ვიდრე მკაცრად არ შეითვისებს იმ ნორმებს სასცენო ტეხნიკისა, რომლითაც მან სადაც უნდა ამოიღოს თავის შემოქმედებით უნარს და იგი მიმართოს დასახული ტიპის ჩამოქნისათვის.

მართალია, ჩვენ თეატრს უკვე საკმაო დიდი და ლამაზი ისტორია აქვს, ისიც მართალია, რომ ჩვენ გვყავს ჩვენი სცენის კორიფეები და ბრწყინვალე სახეები, რომლითაც შეუძლია ამაყობა ყოველ თეატრს, მაგრამ ჩვენი თეატრის მამები თავისი ბუნებრივი ნიჭის სიუხვით ავსებდნენ იმ დანაკლისს, რომელიც მათ ქონდათ სასცენო ტეხნიკის სფეროში.

დღეს უკვე ახალი თაობა გაკაფულ გზაზედ არის შემდგარი. ძველი თაობის ძალაც ბეჭებზე შეჰყვება ახალი თაობის აღზრდის საქმე და ამ მხრივ მას უფრო მეტი მოეთხოვება, ვიდრე წინაპართ, რომელთაც უმაგალითო პირობებში უხდებოდათ მუშაობა.

უნდა ავღნიშნოთ, რომ ხსენებული სტუდიის დაარსებით ახალი ერა იწყება ჩვენი თეატრის ცხოვრებაში. ამიერიდან ჩვენი სცენა ვერ იხილავს ისეთ „მსახიობთ“ და „ხელოვანთ“, რომელნიც ხელოსნებს მოგვაგონებდნენ ხოლმე. სცენას უკვე გაეხსნა ის შესაფერი გზა, რომლითაც მასში შევა არა ყველა, ვინც თავის თავს სთვლის შემოქმედად, არამედ ის, ვინც მართლა შემოქმედია, ვინც ნამდვილი ხელოვანია.

ყოველივე ეს ასეა. დიდი მადლობის ღირსია რეჟისორი აკაკი ფაღავა და ყველა ის, ვინც სათავეში ჩაუდგა ქართული სტუდიის საქმეს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ სტუდია მოითხოვს დიდ მორალურ და მატერიალურ დახმარებას.

რამდენადაც ვიცით, ჯერ-ჯერობით სტუდია საკუთარი ინიციატივით ცდილობს ხარჯების დაფარვას. ქართული საზოგადოების უწმინდესი მოვალეობაა ხელი შეუწყოს უკვე ფეხზე დადგმულ საქმეს, მთავრობამ აუცილებლად მატერიალური დახმარება უნდა მისცეს სტუდიას.

ჩვენ ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია, რომ ჯერ-ჯერობით მაინც, სანამ სტუდია საკუთარ რესურსების მოპოვებას შეეძლებოდეს თავისი წარმოდგენებით, სტუდიის ხელმძღვანელთ უხდებოდეს დროის დაკარგვა ფინანსიური დაბრკოლებების დასაძლევად. ამიტომ აუცილებელია მთავრობის მიერ სათანადო თანხის გადადება სტუდიისათვის.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სტუდიას ესაჭიროება შესაფერი ბინა. დღეს დღეობით იგი შეხიზნულია რუსთველის თეატრის შენობაში, მაგრამ, რამდენადაც ვიცით, იგი ჯერ იქ სტუმრის როლშია, რომელსაც ფიქრი უხდება გამგზავრებაზედ. ამ საკითხს მოგვარება უნდა. რუსთველის თეატრში არის სტუდიისათვის მოხდენილი და შესაფერი საკონცერტო დარბაზი, რომელიც უნდა დაეთმოს სტუდიას მუდმივად.

როგორც ვიცით არა ერთმა ცდამ სტუდიის დაარსებისა უნაყოფოდ ჩაიარა. ეხლა უკვე გვაქვს ასეთი სტუდია, რომლის უქონლობა, არსებული ობიექტიური პირობების გამო, შეუძლებელია. მარტო სენტიმენტალური ფრაზები და თანაგრძნობა არ კმარა სტუდიისათვის, ყოველი შეგნებული ქართველი მოქალაქისათვის და მთავრობისათვის სავალდებულო უნდა იყოს სტუდიისათვის დახმარების გაწევა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ არსებულ სტუდიას დახმარებას გაუწევს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ეროვნული კულტურის აყვავება.

ხ.

## ახლო აღმოსავლეთი

### დემონსტრაცია ომის წინააღმდეგ.

ბორდო 4 ოქტ. ინგლისის მრავალ ადგილებში გაიმართა დემონსტრაციები რათა აიძულონ ინგლისის მთავრობა თავი შეიკავოს სეპარატიულ მოქმედებიდან ახლო-აღმოსავლეთში.

### ინგლისელების მოქმედება.

ბორდო 4 ოქტ. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ლორდ კერზონმა აცნობა საფრანგეთის ელჩს ლონდონში გენერალ გარინგტონისათვის ინსტრუქციების გაგზავნის შესახებ, რომელშიდაც მას ევალება მიიღოს საფრანგეთის და იტალიის თვალსაზრისი ბერძნების მიერ ფრაკიის ევაკუაციის საკითხში. რაც შეეხება დარდანელის აზიის ნაპირის ევაკუაციას, „პტი პარიზიენ“-ის სიტყვებით, რადგან საფრანგეთმა და იტალიამ საპირადოდ დაინახეს გადაიყვანონ თავიანთი ჯარები ევროპის ნაწილზე, ინგლისის გარნიზონის დატოვება წარმოადგენს საშიშროებას.

მანჩესტერი 4 ოქტ. საფრანგეთის ელჩს ლონდონში ჰქონდა სერიოზული თათბირი ლორდ კერზონთან, ფრაკიის და სრუტეების საკითხების შესახებ.

### ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების პოზიცია.

მანჩესტერი 4 ოქტ. სტამბოლიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ ერთხმად მოიწონა ანგორის მთავრობის პოზიცია აღმოსავლეთის საკითხში. ეროვნულმა კრებამ დაადგინა აგრეთვე დაიწყონ მოლაპარაკება დროებითი ზავის შესახებ.

მანჩესტერი 4 ოქტ. სტამბოლიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ დაადგინა გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები მუდანიის კონფერენციაზე დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკების საწარმოებლად.

### კონფერენცია მუდანიაში.

მანჩესტერი 4 ოქტ. ქემალ-ფაშამ აღჭურვა უფლებით ისმედ-ფაშა მიიღოს მონაწილეობა მუდანიის კონფერენციაზე, რომელიც გაიმართება მუდანიაში.

პარიზი 4 ოქტ. საკითხი ფრაკიის შესახებ განხილულ იქნება ინგლისის თვალსაზრისის საფუძველზე, რომლითაც აღმოსავლეთ ფრაკიის ევაკუაცია ბერძნების მიერ უნდა მოხდეს რაც შეიძლება დაჩქარებით. კონფერენციაზე ალბათ გადაწყვეტილი იქნება, რომ საბოლოოთ ზავის დამყარებამდე მოკავშირეების ჯარები ოსმალეთის ჯარებთან ერთად დაიჭერენ მარიცის მთელს რაიონს.

სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ როგორც მოკავშირეების, ისე ოსმალეთის წრეებში მდგომარეობას უცქერიან უფრო ოპტიმისტურად.

ბორდო 4 ოქტ. ფრანკლინ ბოიონმა გადასცა მოკავშირეების უმაღლეს კომისრებს ოსმალეთის თანხმობა მიიღოს მონაწილეობა მუდანიის სამხედრო კონფერენციაზე ნეიტრალური ზონის ევაკუაციის და ფრაკიის საკითხების განსახილველად.

მანჩესტერი 4 ოქტ. სტამბოლიდან მიღებულ ცნობებით, კვირას ბერძნების და ოსმალების შორის დაიდო დროებითი ზავი და ოსმალეთის ეროვნულმა კრებამ მიანდო ქემალ-ფაშას შეწყვიტოს სამხედრო მოქმედება ფრონტებზე.

ნაუენი 4 ოქტ. „მატენის“ ცნობებით, დროებითი ზავი ძალაში შევიდა ორშაბათს, მას შემდეგ, როცა ქემალ-ფაშამ მიიღო სათანადო უფლებები თავის მთავრობიდან.

ნაუენი 4 ოქტ. პარიზში სუფევს დიდი ოპტიმიზმი მუდანიის კონფერენციის შესახებ. თუმცადა „აქსიონ ფრანსეზ“ ეჭვობს, რომ საბერძნეთის კაბინეტი გასცემს თუ არა ბრძანებას ფრაკიის ევაკუაციის შესახებ და ამ ბრძანების დროს, საბერძნეთის ჯარები დაემორჩილებიან თუ არა მას.

### მუდანიის კონფერენცია

კროიდონი 4 ოქტ. გუშინ მუდანიაში მოხდა გენ. გარინგტონისა და მოკავშირეების წარმომადგენლების შეხვედრა ანგორის წარმომადგენლებთან. ოფიციალური ცნობები შეხვედრის შედეგების შესახებ გამოქვეყნებული იქნება მოკავშირეების გენერლების სტამბოლში დაბრუნების შემდეგ.

მანჩესტერი 4 ოქტ. ლონდონიდან მიღებულ ცნობებით, ლორდ კერზონმა განუცხადა საფრანგეთის ელჩს, რომ ინგლისის მთავრობამ დაავალა თავის წარმომადგენელს მუდანიის კონფერენციაზე დაიცვას საფრანგეთის და იტალიის თვალსაზრისს, ფრაკიაში ოსმალეთის საზღვრების გამორკვევის დროს.

მანჩესტერი 4 ოქტ. პარიზში მუდანიის კონფერენციის ნაყოფიერებას უზრუნველყოფილად სთვლიან.

კროიდონი. 3 ოქტ. ინგლისის გაზეთები მუდანიის კონფერენციის შესახებ ამბობენ, რომ კონფერენციის მუშაობის თემა საერთო სახით გამოხატულია მოკავშირეთა კოლექტიურ ნოტაში, და რომ მოკავშირეებმა განსაზღვრეს დათმობა ფრაკიის საკითხის შესახებ, ნეიტრალური ზონის ოსმალეთის ჯარების მიერ ხელშეუხებლობით. ამ რიგად მუდანიის კონფერენციის ნაყოფიერება სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ პოზიციას დაადგებიან ოსმალეთის წარმომადგენლები.

ბორდო, 4 ოქტომბერი. მუდანიის კონფერენციაზე მონაწილეობას დებულობს ფრანკლენ ბუიონი.

### ჩანაკალესთან.

კროიდონი, 4 ოქტ. ოსმალეთის ჯარის ნაწილები რჩებიან ჩანაკის რაიონში, თუმცადა ისინი თანდათანობით დაშორდნენ ინგლისის მოწინავე ხაზს.

## გერმანია და ანტანტა

### ბრიუსელის კონფერენციის ვადა.

მანჩესტერი. 4 ოქტომბერი. გაზ. „ტანი“ ამბობს: ბრიუსელის კონფერენციის ვადა შეიძლება იქნეს დანიშნული მხოლოდ ამერიკიდან ინგლისის დელეგაციის დაბრუნების შემდეგ. დელეგაცია გაემგზავრება ოქტომბრის შუა რიცხვებში და დაბრუნდება ინგლისში ნოემბრის შუა რიცხვებში. გაზეთი ფიქრობს, რომ ის გადაწყვეტილებანი, რომელსაც კონფერენცია მიიღებს, უნდა იქნეს გამოტანილი 1922 წლის დამლევამდე, ვინაიდან საკონტრიბუციო კომისიამ 21 დეკემბრამდე უნდა შეიმუშავოს გერმანიის 1923 წლის გადასახადების ცხრილი.

### გერმანიის გადასახადები.

მანჩესტერი. 4 ოქტომბერი. ბელგრადიდან მიღებულ ცნობების თანახმად, გერმანიის და სამხრეთ სლავიის შორის საკონტრიბუციო საკითხში შეთანხმება იმ შემთხვევაში შეიძლებოდა მომხდარიყო, თუ გერმანია გადასცემს სამხრეთ სლავიას ხვედრ გადასახადების ანგარიშში რკინის გზის მოძრავ შემადგენლობას.

### ვივიანის პასუხი.

მანჩესტერი. 4 ოქტომბერი. პრესა აქვეყნებს ვივიანის პასუხს კანცლერ ვირტის უკანასკნელ განცხადებაზე, რომელიც მან გააკეთა ომის დაწყებაში დანაშაულობის საკითხის შესახებ. ვივიანი ამტკიცებს რომ, კანცლერ ვირტის მიერ მოყვანილ საბუთებში, რომლის შესახებ მან, ვივიანმა არაფერი არ იცის, აშკარაა შეტანილია რამდენიმე შესწორება. გაზ. „ტაგებლატი“ ამის გამო სწერს: ძალიან საყურადღებოა, რომ ვივიანი უყოველგვარ მნიშვნელობას უკარგავს ვირტის მიერ მოყვანილ საბუთებს, თუმცა მან, მისივე სიტყვით, მათ შესახებ არაფერი არ იცის, საფრანგეთის ყოფილ პრემიერის განცხადება ამტკიცებს იმას, თუ რამდენათ უმწეოა ის საშუალება, რომლითაც ანტანტას სურს გამოიყვანოს გერმანია ომის დაწყებაში დამნაშავედ.

# უცხოეთი

**შვეციის მელითონეთა ყრილობაზე.**

**მოსკოვი.** ოქტომბრის 4-ს შვეციის მელითონეთა ყრილობამ გამართა რუსეთის დელეგატების საპატივცემულოდ სადღესასწაულო, რომლის დროსაც სიტყვები წარმოსთქვეს რუსმა და შვეციელ ამხანაგებმა.

**გაფიცვა გერმანიაში.**

**მოსკოვი.** ოქტომბრის 4-ს ლეიპციგის და ხემნიცის ხის დამამუშავებლებმა გამოაცხადეს გაფიცვა.

**გერმანიის პარტიებში.**

**მოსკოვი.** ოქტომბრის 4-ს ლედებურის ჯგუფმა გამოუშვა ფურცელი, რომელშიაც იგი აცხადებს, რომ პარტიის დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით შედგენილია ახალი პარტია ლედებურის და თეოდორ ლიპკნეხტის მეთაურობით.

**სიძვირის წინააღმდეგ.**

**მოსკოვი.** ოქტომბრის 4-ს ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მიერ სიძვირის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდა 25.000 კაცი. ქალაქში 2 საათით შეწყდა ტრამვაის მიმოსვლა.

**შორეულ აღმოსავლეთში.**

**მოსკოვი.** ოქტომბრის 4-ს ჩიტიდან 30 სექტემბრის თარიღით იტყობინებიან: იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მიუხედავად ჩან-ჩუნის კონფერენციის ჩაშლისა, იაპონიის ჯარები მოახდენენ ვლადივოსტოკის ევაკუაციას ოქტომბრის დამლევამდე.

**პოლონეთის ვალები.**

**ვარშავა.** პოლონეთის ფინანსთა მინისტრმა გამოსცა ე. წ. „მწვანე წიგნი", რომელშიაც ნაჩვენებია შორის ჩამოთვლილია პოლონეთის ვალები სხვა და სხვა სახელმწიფოებისაგან აღებული.

ამერიკის შტატებს—184457 ათასი დოლარი საფრანგეთის 1838584 ათასი ფრანკი ინგლისის 4874 ათასი გირ. სტერლ. იტალიის 174282 ათასი ლირა, მისივე 3.63255 ათას ფრ. ოქრ. მისივე 12596 ფრანკი. ჰოლანდიის 18217—ჰოლანდ. ფლორ. ნორვეგიის 16497 ათასი ნორვეგიის კრონი, დანიის 3588 ათასი—დანიის კრონი, შვეციის 173,30 ათასი კრონი. შვეიცარიის 7.3,6 ათასი—შვეიც. ფრან. და სულ 21,3374,6 ათასი დოლარი.

**ბრძოლა კომუნიზმის წინააღმდეგ ჩეხო-სლოვაკიაში.**

**ბერლინი.** გაზ. „როტე ფანე" იტყობინება: ჩეხო-სლოვაკიის სოციალისტები უკანასკნელ დროში ყოველ ძალ-ღონეს ხმარობენ, რათა აიძულონ მთავრობა დაშალოს კომუნისტური პარტია. ნაწილობრივ უკვე მიაღწიეს შედეგს. მიხალოვის რაიონში ადგილობრივ ლანდრატის განკარგულებით დაშლილია კომუნისტური ორგანიზაციები, კომუნისტურ ახალგაზრდობის ორგანიზაცია, სოფლის მუშების კავშირი და მუშათა სეკრეტარიატი.

**მელითონეთა კონგრესი**

**ჰანოვერი.** 4 ოქტომბერი. მელითონეთა კონგრესი, რომელიც გაიმართა კარლსბადში, განიხილა რა მოკავშირეთა და ნეიტრალურ სახელმწიფოების კრიზისი, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გამეფებული უმუშევრობა დამღუპველ გავლენას ახდენს არა მარტო მუშების მდგომარეობაზე არამედ წარმოების საერთო მდგომარეობაზე.

**მცხოვრებთათვის შაქრის მიწოდება**

**ჰანოვერი.** 4 ოქტომბერი. ორშაბათს რეიხსტაგმა დაამტკიცა კანონ-პროექტი რომლის თანახმად გერმანიის ყაელა შაქრის ქარხნები, ემზადებიან იმ ანგარიშით, რომ თვითეულ მოქალაქეს თვეში მიეცეს 2 ნახევარი გირ. შაქარი.

**კონსტანტინეს გამგზავრება**

**ბორდო** 4 ოქტ. კონსტანტინე მეფე გაემგზავრა ათინიდან პალერმოში.

**მიღება გიორგი მეფესთან**

**ბორდო** 4 ოქტ. 2 ოქტომბერს მეფე გიორგიმ მიიღო რევოლუციონური კომიტეტი. პოლკოვნიკმა განაცხადა მიულოცა გიორგის ტახტზე ასვლა.

**ვენიზელოსი**

**ქაირო** 4 ოქტ. სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ როგორც მოკავშირეთა ისე ოსმალეთის წრეები ოპტიმისტურად უცქერიან იმ შეხვედრას, რომელიც მოხდა ვენიზელოსსა და ლორდ კერზონის შორის ლონდონში. ვენიზელოსმა მოულოდნელად გადასდო თავისი გამგზავრება ქაიროში. პირველი განზრახვის შეცვლა საბაბს აძლევს ინგლისის გაზეთებს გამოთქვან ამას სხვა და სხვაგვარი კომენტარიები.

**დიპლომატიური დარბაზობა**

**ნაუენი** 4 ოქტ. ინგლისის წარმომადგენელი სადარბაზოდ იყო მეფე გიორგთან, რასაც სთვლიან ინგლისის მიერ ახალი მეფის ცნობად.

**სამხედრო მოქმედება**

**ბორდო** 4 ოქტ. საფრანგეთის ჯარებმა ათი კილომეტრით დაიხიეს უკან.

ქემალ ფაშამ მისცა ბრძანება მოწინავე სადარაჯოებს დაიხიონ უკან ჩანაკიდან იმ მანძილზე, რომ დაშორებულნი იყონ ინგლისის ჯარებს.

# ახალი ამბები

— **მიწათ-მოქმედება.** რესპუბლიკაში აგრარული რეფორმის ჩასატარებლად მუშაობს 58 მიწის მზომელი და 17 მიწათ-მომქმედი, თითო კაცი ყოველ მაზრაში, გარდა ბორჩალოს მაზრისა, სადაც მუშაობს ორი მიწათ-მომქმედი. მუშაობა დასრულდება მომავალ წელში.

— **გემი „აჭარისტანი"** ოდესიდან დაბრუნებული საქ. საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსის მ-ქე ათაევის გადმოცემით გემი „აჭარისტანი", ტუაპსის ნავთსაყუდელში შესვლის დროს დაეჯახებია ღამის სიბნელეში ძველი ნავთსაყუდელის ნანგრევს, რომელიც დაფარული ყოფილა წყლით და რომელიც გემის დროებით კაპიტანს, თავის უცოდინარობით ვერ შეუმჩნევია და მიუღია ნავთ-საყუდელში შესასვლელ სრუტეთ.

მგზავრებიდან არვინ დაღუპულა; დაზიანდა მხოლოდ ნაწილი.

— **შრომის დამხმარე საზოგადოება.** ამ დღეებში შესდგა პირველი სადელეგატო კრება საზოგადოებისა, სადაც გაირჩა ყველა საორგანიზაციო საკითხები და არჩეულ იქნა კომიტეტი—11 წევრისა და სამი კანდიდატისაგან; აგრეთვე სარევიზიო კომისია 3 წევრის და 2 კანდიდატისაგან.

საპატიო წევრებათ საზოგადოებისა აირჩა ტფილისის ყოფილი ხელოსნები ამხ. ლადო დუმბაძე, ნ. გეიდენი და ჩოდრიშვილი, ამასთანავე ამხ. მიქაძე და ათაბეკოვ-ტუმასი.

კრებას დაესწრო 35 დელეგატი, 1538—რეგისტრაციაში გატარებულ საზოგადოების წევრებისაგან.

— **სიმულიაცია თავდასხმაზე.** ამას წინეთ ტფილისის ალმასკომის მამულში № 2, დაჭრილ იქმნა ერთი მუშა, სააკ ტერ-კირაკოსიანის მამულიდან. აღნიშნულმა მემამულემ ამაში ბრალი დასდო მამულის გამგეს, ხოლო დღეს სასამართლოს სამედიცინო ექსპერტიზამ, სისხლის სამართლის მოხელეებთან ერთად გამოააშკარავა, რომ ტერ-კირაკოსოვის მხრივ ამ შემთხვევაში იყო ჩადენილი საზიზღარი სიმულიაცია, გულის ნაწილის თავის ხელით გაჭრის გამო, რათა ამით ბრალი დაედო მამულის გამგეთვის.

— **ალმასკომის სხდომა.** ცენტრალური ალმასკომის სესიის მორიგი სხდომა გუშინ არ შემდგარა სხვა და სხვა მიზეზების გამო და დანიშნულია დღეისთვის დილის 10 საათზე.

= **სტუდ.** სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტისა—სიტყვიერების დარგისა ნინო ძიძიგურმა დაჰკარგე მატრიკული № 791, რაიც გამოცხადებულია გაუქმებულად.

## პარტიაში

**პარტიული განცხადება:** ტფილისის საქალაქო კომიტეტი წინადადებას აძლევს. ტფილისელ ამხანაგებს განაახლონ პარტიული მანდატები (საწევრო ბარათები) 15 ოქტომბრამდის. ა. წ. აღნიშნულ რიცხვის შემდეგ ძველად გაცემული მანდატები ჩაითვლება გაუქმებულად.

მანდატების განახლება სწარმოებს ყოველ დღე პარტიის მთავარ ბიუროში ლორის-მელიქოვის ქუჩა. № 1. ტფილისის კომიტეტის ოთახი № 1) საღამოს 7—10-მდის.

ტფ. კომიტეტი.

# მიშა მეუნარგია

ქართველ სტუდენტობის გული კვლავ დაჭკოდა ულმობელმა სიკვდილმა; რჩეული ამხანაგები თითქოს განგებ გვეცლებიან და ამ ქვეყნიურ ცხოვრების მაგიერ იდუმალების სამყაროს ირჩევენ; ფხიზელი ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი აღჭურვილი ბუნებრივი ნიჭით და ძლიერი ინტელექტის მქონენი თითქოს ვერ ეგუებოდა მათ წინაშე გადაშლილ წვრილმანობას, სულიერ და ზნეობრივ დაკნინებას, დასთხოვებიან ამ წუთისოფელს. მაგრამ არა,—დღეს არის თქმა დაკარგულ ამხანაგების მიმართ დანაშაულნი იქნებოდა.

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს სტუდენტი ჩაჩავა, ვინც მოიგონებს ძვირფას აბოს, ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია ახალგაზრდა სტუდენტ პალიკო ბეშკენაძის დარბაისელი ლაპარაკი, ის იტყვის, რომ მართლაც საუკეთესო ამხანაგებს გამოვეთხოვეთ.

გუშინ-გუშინწინ დავკარგეთ ჩვენი საყვარელი ამხანაგები. მძიმე ჭრილობის [illegible] გვტანჯავდა. რომ აქ ცხოვრება ჯოჯოხეთად [illegible], მაგრამ ვფიქრობდით, რომ სიკვდილმა თავისი წვლილი მსხვერპლათ იკმარა და ჩვენს სტუდენტობას, კვლავ გლოვის ჩადრებს არ ჩაგვაცმევდა; მაგრამ არა—სიკვდილმა მოჰკლა, არ დაგვინდო, მოგვიკლა მიშა...

იმ თავიდანვე დაეწაფა მეცნიერებას; სულ ცოტა დროში დაგვანახვა თავისი ნიჭი; რთულ მოვლენების შეფასება-განმეორებაში პიონერობა ხომ მიშას ჰქონდა; ჩვენს სემინარიაში პირველ რიგში მიშას ვამჩნევდით და ვამაყობდით, ვამაყობდით ამითი ყველა.

ძვირფასო მიშა, შენ გინდოდა გადაგელახა, წინ გაგესწრო დროსთვის—სივრცისათვის; მებრძოლი სული ვერ ცხრებოდა მოსვენებაში;

შენ დაიმონე დაბრკოლება—შეუძლებლობა—მეცნიერება ღმერთად მიიღე და მის ქურუმად იწვრთნე ბოდი—ემზადებოდი.

ცხოვრება სძლიე; მეცნიერება დაფნის გვირგვინს შენ გილოცავდა, ვით გამარჯვებულს და თურმე ამ დროს ზღვის ტალღები ზღვის სამეფოში სასიკვდილო გვირგვინს გიწნავდა.

ძვირფასო ძმაო—შენმა სიკვილმა დაგვაობლა—დატანჯა სული.

სტ. ვიქტორ მხეიძე.

## მიშა მეუნარგიას ხსოვნას

სიტყვა არ გვემორჩილება, კალამი არ გვემარჯვება, ენა ევებმის მიშა მეუნარგიას ტრაგიკული ბედის ცნობით.

ახალგაზრდა, უმწიკვლო ზნეობრივად, ძლიერი ენერგიის და სათანადო ერუდიციის სტუდენტი ეკონომისტი, შავი ზღვის ლურჯ ტალღებში თაინთქა უმიზნოდ, უაზროდ, უშედეგოდ...

რაოდენი სიხალისე, რაოდენი ყმაწვილური გატაცება, რაოდენი იდეალიზმი, რაოდენი სიყვარული მშრომელი ერისადმი ღვივოდა ამ ახალგაზრდას გულში, რომელიც

# სადღეისო მუსაიფი

(დასასრული*)

რუსთ ხელმწიფემ, რომელიც მტერი იყო ყოველნაირი საზოგადოებრიობისა, რეფორმების ჩადხი შეაჩერა. უფრო უარესიც, ეს ჩადხი უკან სასვლელად დაატრიალა და იერიში მიიტანა თავისუფალ მოღვაწეებზე. ბიუროკრატიამ კვლავ მოიგო ომი და ბრძოლაში დამარცხებული თაობა მოღვაწეებისა დაუნდობლად გაალამტვერა: ზოგი ციხეში დაალპო, ზოგს ცივ ციმბირში გაუყინა ტვინი, ზოგმა კი დასავლეთ სახელმწიფოებში იპოვა თავშესაფარი და იქიდან ბიუროკრატიისაგან უვნებელი შეიქნა. ბიუროკრატიამ კვლავ გაიმარჯვა. დადგა ხანა რეაქციისა, მაგრამ ამ მარცხმა მაინც ვერ გასტეხა ნებისყოფა რუსთ მოღვაწეთა. ამ მოღვაწეებმა „ნაროდოვოლცების" სახით კვლავ იერიში და თავდასხმა აწარმოეს ბიუროკრატიაზე, რომელიც თავდასხმაც კატასტროფით დასრულდა: განადგურებულ იქნა ალექ. მეორე, მაგრამ ამავე დროს განადგურდენ „ნაროდოვოლცები" ალექ. მესამის ტლანქი ტორებით: „ნაროდოვოლცები" ჩამოახრჩო, ინტელიგენცია გათოკა, უმრავლესობა კი ადმინისტრატიული წესით ცივ ციმბირში გადაასახლა და იქ გაჰყინა, ან გაგიჟა. ამ ინტელიგენციის ამყოლ მუშებსაც იგივე ბედი არგუნა. დადგა ხანა საშინელი რეაქციისა, ალექ. მესამის რეჟიმის უღელ ქვეშ დაიწყო პარპაში ამ რეაქციამ და ბიუროკრატია წელში გაიმართა. სამაგიეროთ მოღვაწეთა მოქმედება მოდუნდა, სრულიად მოისპო, შედგა ცხოვრება და მოისპო თითქმის ყოველივე იმედიანობა. ალარ ჩანდა გამოსავალი და ბეჯითად სარწმუნო შეიქნა, რომ რუსთ ხელმწიფობის სუფევისა და მტკიცეთ ყოფნის დროს წარმავალი აღარ არის და იგი იფარფაშებს რუსეთის ტერიტორიაზე აწ და მარადის. რა პასუხი გასცა ამ ფაქტს ილ. ჭავჭავაძის თაობამ?

ამ თაობამ და ამ თაობის ფრთეთა ქვეშ აზრდილმა მოღვაწეებმა ფაქტი ცხადათ დაინახეს და იგი შეაფასეს დღევანდელი დღის სინამდვილის ფარგლებში. ამათ ირწმუნეს და სხვებსაც არწმუნებდნენ, რომ ბიუროკრატია უძლეველი რამ ძალაა, იმის წინააღმდეგობა რუსეთის ხალხს აღარ შეუძლია, ეს ხალხი საბოლოოდ განწირულია ბედის მიერ ბიუროკრატიის სასამსახუროთ და ბიუროკრატიის დასასრულს ბოლო არ უჩანს. თუ ასეა რუსეთისთვის, ცხადია, მით უფრო ეს სავალდებულოა ქართველთათვის. ქართველი ხალხის ძალღონეს სრულებით არ შეუძლია შეებრძოლოს ბიუროკრატიას. ის კი არა, ეს შებრძოლება საბედისწეროც კი შეიქნება მთელი ქართველობისათვის. მაშასადამე, ამ მოსაზრებით წამძღვარებული ეს თაობა შეურიგდა ბიუროკრატიის გარდაუვალობას, დაემორჩილა მას და ამ ნიადაგზე შეიმუშავა წმინდა წყლის ლოიალიზმი და სერვილიზმი. თუ რაიმეს შეიძენს ქართველი ხალხი, ისევ ამ ბიუროკრატიის წინაშე წაჩოქებით, წაწილით, თხოვნით და უკანა კარებიდან შესვლით. ამიტომ დასაგმობია ბრძოლა და მავნებელია იგი ქართველი ხალხისთვის. საჭიროა, მხოლოდ მოხერხებით, მოტყუილებით და თხოვნით რაიმე დაისაცინცლო, რაიმე დასტყუო ბიუროკრატიას და ამით ცოტათი შეუმსუბუქო ქართველ ხალხს ცხოვრების პირობები. სხვა გზა არ არსებობს. ამ თაობამ სხვა და სხვა პოლიტიკური კომბინაციებზეც კი ხელი აიღო. მაგ. გ. წერეთელი და სხვები წინათ—1877—788 წ. რუსეთისა და ოსმალეთის შორის ომის დროს იმ აზრისანი იყვნენ, რომ სხვა სახელმწიფოების დაინტერესებითა და საქმეში ჩარევით შესაძლებელი იყო ქართველ ერს დამოუკიდებლობა მიეღო. მაგრამ ესეც მოისპო ალ. მესამის საშინელი რეაქციის დროს, რადგან ამ კომბინაციების წარმოებას დიდი პასუხისმგებლობა მოჰყვებოდა და ქართველობის ყოფნა არყოფნას ბეწვზე ჩამოკიდებდა. ამიტომ ეს თაობა აქ შეჩერდა, შედგა ლოიალიზმისა და სერვილიზმის საფეხურზე. ამით იგი სულიერათ შეეგუა და შეურიგდა ბიუროკრატიასა და რუსთ-ხელმწიფობის პარპაშობას საქართველოში. ამიტომ ეს თაობა და ეს მოღვაწეები იმ დღიდან წმინდა წყლის რეაქციის მატარებელი შეიქნენ და გახდნენ რეაქციის იდეოლოგებათ.

ვინაიდან ალ. მესამის რეჟიმი ცხადით ხელს უწყობდა და დახმარებას აძლევდა ხელმწიფოებრივი მასშტაბით თავად-აზნაურობასა და ბურჟუაზიას, ამიტომ ჩვენმა მოღვაწეებმა ეს პოლიტიკა ჩაუთვალეს ალ. მესამის რეჟიმს და მოინდომეს ამ ფარგლებში გამოეყენებინათ ეს რეჟიმი თავად აზნაურთა გასამტკიცებლად და ახლად ფეხზე წამომდგარის ქართველი ბურჟუაზიის ასაღორძინებლად. სწორედ ამ ფარგლებში ამუშავდა ილ. ჭავჭავაძეც და ნ. ნიკოლაძეც. მით უფრო მტკიცედ დაადგნენ ეს მოღვაწენი ამ გზას, რომ ვერსაიდან დამხმარე ძალას ვერ ხედავდნენ მაშინ, როდესაც სომხური ბურჟუაზია, წათამამებული ბიუროკრატიის მიერ, იერიშებით მოდიოდა ქართველ თავადაზნაურობასა და ქართველ ბურჟუაზიაზე. ამ პირობებში კიდევ მეტ სანუკვარ ძალად იქნა მიჩნეული რუსთ-ხელმწიფობა. აი, ასეთი სულიერი განცდა შეითვისა სამოციანი წლების მოღვაწეებმა და ეს მოღვაწენი ამიტომ ჩვენს ცხოვრებას ატარებდნენ, ამდიდრებდნენ და საშინელი რეაქციის რეჟიმს ახანგრძლივებდნენ.

მაგრამ ეს სულიერი განცდა არ გადუტანია რუსეთის მებრძოლ მოღვაწეთ, ამათ ახლაც არ გაიტეხეს გული, არ მოისპეს სასოება და არ შეასუსტეს ნების ყოფა. ახლა ეგენი გადასწვდნენ მუშათა და გლეხთა შორის და იქ აწარმოვეს ძლიერი და მხნეობის მომნიჭებელი პროპაგანდა. ამათ სხვა გზა გამონახეს ბიუროკრატიაზე თავდასხმისა და ამ გზას მტკიცედ დაადგნენ. აქ „ნაროდოვოლცების" ნანგრევებზე წარმოიშვა ძლიერი და გაბედული მოღვაწეობა ს.-რევოლუციონერებისა და ს.-დემოკრატებისა. ახლა ჩვენ ვიცით, რომ ამ მოღვაწეობამ მოსპო ბიუროკრატია და რუსთ ხელმწიფობა რუსეთის მთელ ტერიტორიაზე. ამ მოღვაწეობას ახლდა ჩვენებური სოც.-დემოკრატია და სოც.-ფედერალიზმი. ეს ორივე მიმდინარეობა იმით ხასიათდება, რომ ამათ სწამდათ, წინააღმდეგ ილ. ჭავჭავაძისა და ნ. ნიკოლაძის თაობისა, რომ რუსთ ხელმწიფობა მოისპობოდა რუსი ხალხის ძლიერი ნების ყოფით და გაბედული ბრძოლით და მხოლოდ ამ გზით მიენიჭებოდა ყველას მოქალაქის უფლება და დაჩაგრულ ერებს ავტონომია და თვითგამორკვევის უფლება. ეს ორივე მოღვაწეები, მაშასადამე, იდგნენ რევოლუციონურ გზაზე და ამ გზით ფიქრობდნენ განეხორციელებინათ თავისი იდეალები, მშრომელი ხალხისათვის სასარგებლონი და საკეთილონი. მაგრამ მოხდა რევოლუცია. ქართველი რევოლუციონერები აქ შესდგნენ და რევოლუციის წინ წაწევა არ მოისურვეს მაშინ, როცა რუსის ხალხმა არ ისურვა ეს რევოლუცია გარდაექმნილიყო წმინდა წყლის ბურჟუაზიულ რევოლუციათ. აქაც განმეორდა ის, რაც მოჰყვილა ნ. ბარათაშვილისა და ილ. ჭავჭავაძის თაობით. სოციალ დემოკრატებიც და ს.-ფედერალისტებიც რევოლუციას ჩამოშორდნენ, რევოლუციონური გეზი დაგმეს და ამით გამოეთიშენ რუსეთის მოძრაობას. მაშასადამე, ამათაც ის მოუვიდა, რაც მოუვიდა წინანდელ თაობათ: შეიქნენ წმინდა წყლის რეაქციის მატარებლებათ, დაადგნენ გზას ლოიალიზმისა და სერვილიზმისას.

აქ მოთხრობილიდან, რომელიც შეფარდებულია ცხოვრების სინამდვილესთან, ცხადად და თავისთავად შემდეგი დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ:

მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ჩვენი მოღვაწეების ის თაობა, რომელიც რუსთ მოღვაწეთა მოქმედებას, რწმენასა და იმედიანობას იზიარებდა, იყო პროგრესიული და ჩვენს ცხოვრებას წინ სწევდა, ამ ცხოვრებას იმედიანობას ანიჭებდა. მაგრამ, როცა ეს თაობა გადაუდგებოდა რუსთ მოღვაწეთა საქმიანობას, დაგმობდა რევოლუციონურ გზას, უარყოფდა რევოლუციის ორიენტაციას რუსეთის საზღვრებში და მიიღებდა ბიუროკრატიის ორიენტაციას, მაშინვე ეს თაობა შეიქნებოდა წმინდა წყლის რეაქციის იდეოლოგათ და იგი იქმნებოდა ცხოვრების დამთრგუნველ ძალათ. ასე მოუვიდა ნ. ბარათაშვილის თაობას, ორმოცდაათიან წლებში. ესევე თავს გადახდა ილ. ჭავჭავაძისა და ნ. ნიკოლაძის თაობას ოთხმოციან წლებში, ესევე განიცადა ჩვენებურმა სოც.-დემოკრატიამ (მენშევიკებმა) და სოც.-ფედერალისტებმაც რევოლუციის დასაწყისიდან.

თუ ეს მართალი და ხწორი დასკვნაა და რომ სწორია, ამას ადასტურებს ზევით მოთხრობილი და ამას დაადასტურებს, თუ საჭირო იქნება, უამრავი ფაქტიური მასალა, რომელიც ჩემ ხელთ არის,—მაშინ ცხადია, რომ ქართველი ერის ბედი გადაბმულია რუსის ერის ბედთან და ქართველი ხალხი შეინარჩუ-

*) იხ. „ტრიბუნა" № 309.

ზების ძიებაში, მეცნიერულ და პოლიტიკურ მუშაობაში ჰპოვებდა თავის გამოხატვას.

როგორი მოწინააღმდეგე არ უნდა ყოფილიყო იგი, როგორი მტრის იარაღი არ ჰქონოდა ხელში, არ შეიძლებოდა მისი ახლოს ცნობა, პატივისცემის გარეშე. მასში არ იყო ყალბი პათოსი, მასში არ იყო დიპლომატიური გარესკნელი. მისი სიტყვა, მისი მოქმედება, მისი ბრძოლა უშუალო ანარეკლი იყო მისი იდეალისტური ბუნების, რომელიც ზოგჯერ ანგარიშიანობამდეც მივიდა ხოლმე, მაგრამ ყოველთვის ატარებდა ფსიქოლოგიურ სიჯანსაღეს და მეცნიერებას.

სრულიად სამართლიანად მოველოდით მისგან მისი მეგობრები ერთ მძლავრ ინტელიგენტს. ჩვენი ოცნება თურმე ბედის უკუღმ რთოლის ხელით იკვეცებოდა და სიკვდილი ელოდდა მას, ვინც სიცოცხლის განსახიერება იყო.

მიშას იცნობდა კარგად ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა. იგი ყოველთვის, დაწყებული მოწაფის კალმიდან, ენერგიულად გატაცებით მუშაობდა საზოგადოებრივ საქმეებში.

მასში შეთანხმებული იყო ყოველი მომენტი, რაც სრულს ქმნის პიროვნებას.

გრძნობის სიჰარბე ვერ ფარავდა გონების სიძლიერეს, უანგარობა და ზნეობრივი სისპეტაკე ხელს არ უშლიდა გამჭრიახობას და მოქნილობას, აკადემიური მუშაობა არ კლავდა მასში ამხანაგურ სიხალისის გრძნობას და ჩვეულებრივი ცხოვრებით დატკბობას.

მიშამ ოქროს მედლით დაასრულა ქუთაისის პირველი გიმნაზია და საუკეთესო სტუდენტად ითვლებოდა ქართ. უნივერსიტეტის ეკონომიურ დარგზე. იგი ამართლებდა იმ იმედებს, რომელსაცა მყარებდა მასზე მისი მეგობრები და ამხანაგები.

ძვირფასო მეგობარო, უბედური ვარ მითაც, რომ არ შემიძლია შენს გაციებულ შუბლს უკანასკნელად ვეამბორო. გეთხოვები მარადის, გეთხოვები საუკუნოდ, გეთხოვები შენ, ჩემო კარგო მიშა.

ცრემლებით ინამება ამ შავი წერილის ფურცლები. არ შემიძლია ყოველივე ვთქვა, ძალა არ მყოფნის შენი დაკარგვის შესახებ ვწერო, შენთან ვილაპარაკო.

შენი მეგობარი.

# სემესტრული სისტემა საშუალო სკოლაში

4 *)

წინა წერილში ჩვენ გვქონდა აღნიშნული, რომ ეხლა ჩვენი სკოლის ყოველმხრივი რეფორმის შესახებ არ გვექნება საუბარი, არამედ ამ რეფორმის ერთი ნაწილის, კერძოთ წლიური გადაჯგუფების მაგივრად სემესტრალური სისტემის შემოღების შესახებ. ამ საკითხის პრინციპიალური გადაწყვეტა იმავე წერილში ვცადეთ და სემესტრალური სისტემა საშუალო სკოლებისათვის (ტექნიკუმებისათვის) მისაღებ დებულებად მივიჩნიეთ. მაგრამ, ცხადია, მარტო პრინციპიალურად საკითხის გადაჭრა, სრულებით არ ნიშნავს მის რეალურად ქცევას. აქ უფრო მეტი მნიშვნელობა მის პრაქტიკულად გამოყენებას ეძლევა. საშუალო სკოლებში სემესტრალური სისტემის განმტკიცება და მკვიდრად დაცვა მისი ყოველი ატრიბუტიხა, როგორც დავინახეთ, საუკეთესო პირობა იქნება დღევანდელი სკოლების გამოცოცხლება და მათი ახალ საძირკველზე დაყრდნობისათვის. ამ სისტემის პრაქტიკული ხორცსხმა ერთის შეხედვით ძნელად ეჩვენება კაცს, მაგრამ მისი ახლოს გაცნობის შემდეგ, ჩვენი სკოლების სინამდვილესთან დაკავშირებით, ჩვენ დავინახავთ, რომ ამ სიმპატიური საქმის რეალობად ქცევა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს; მხოლოდ საჭიროა ჩვენში იყოს გაბედული სურვილი, მტკიცე ნებისყოფა, რომ ყოველი ხელის შემშლელი დაბრკოლება უკუ გდოთ და წმინდა იდეის სამსახურს შევწიროთ ჩვენი ძალა და ღონე.

ჩვენ არ ვივიწყებთ, რომ რეფორმის მოხდენა, როგორც ცხოვრების ყველა დარგებში, ისე კერძოთ სკოლის ცხოვრებაშიაც უფრო ადვილი შესაძლებელია ისეთ ქვეყნებში, სადაც ტექნიკური განვითარება შესაფერისი სიმაღლის დონეზე სდგას. აქ თეორიული ფორმულები ადვილად პოულობენ პრაქტიკულ განხორციელებას.

ჩვენ ქვეყანაში კი რამდენადაც სუსტია და ნაკლებად არის განვითარებული ტექნიკური ხასიათის პირობები, იმდენად ძნელია ყოველი რეფორმის მოხდენა და გატარება.

ჩვენ გვესმის, რომ ის რეფორმა, რომელზედაც გვიხდება ამ ჟამად საუბარი, მისი რეალურად ქცევის დროს გამოიწვევს მატერიალი ენერგიის დახარჯვას, ვიდრე წლიურ გადაჯგუფებაზე აგებული სკოლები, მაგრამ ეს საერთო კანონია და თუ ჩვენი სასკოლო ცხოვრების სინამდვილეს დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ სემესტრიული სისტემის შემოღება, თუ მას სწავლა-განათლების გავრცელების იდეას შევუფარდებთ, ჩვენ სამშობლოში იმაზე ბევრად მეტ ხარჯებს არ გამოიწვევს, რაც დღეს იხარჯება საშუალო სკოლების უზრუნველყოფის საქმეზე.

სემესტრალურ სისტემაზე გადასვლა უპირველეს ყოვლისა გამოიწვევს დღევანდელი ერთ წლიანი კლასების ორად (ორ სემესტრად) გაყოფას და მაშასადამე არსებული ტექნიკუმების ოთხი კლასის მაგივრად შეიქნება 8 ოთხ თვიანი სემესტრი, (შემოდგომისა და გაზაფხულისა თითო სამოსწავლო წელში). ამ გვარად ეს გარემოება გამოიწვევს როგორც სასწავლებლის შენობის გადიდებას, ისე სასკოლო ოთახების ორჯერ გამრავლებას. ამას გარდა საჭირო იქნება, სემესტრების მიხედვით, მასწავლებელთა შტატის გადიდება და საკლასო ინვენტარის იმ რაოდენობის შექმნა, რაც შესძლებს სემესტრების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ეს არის ის მთავარი ტექნიკური ხასიათის პირობა, რომელიც შესაფერისად უნდა მოეგვარდეს, რომ სემესტრალური სისტემა ქაღალდზე გამოკიდებულ ფრაზად არ დარჩეს.

ერთის შეხედვით შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ ეს გარემოება დღევანდელი სამოსწავლო ხარჯების გაორკეცებას ნიშნავდეს. ეს მართალი იქნება საერთოდ, თუ სკოლებიც ჩვეულებრივ ნორმალურ პირობებში იქნებოდა ჩაყენებული, მაგრამ რადგან სემესტრალური სისტემა ყოველ ასეთ ხარჯს დაუყოვნებლივ გამოისყიდიდა იმ მრავალი დადებითი მხარეებით და უპირატესობანით, რომლითაც ის არის დაჯილდოებული წლიური საკლასო სისტემასთან შედარებით.

მხოლოდ ჩვენი სკოლების დღევანდელი მდგომარეობის გაცნობა ამ პატარა ტექნიკურ დაბრკოლებასაც გვაცლევს თავიდან და ზემოთ ხსენებული ხარჯების, სემესტრალური სისტემის ადრესით, გაწევასაც ამართლებს. ეს შეიძლება ზოგიერთს კურიოზად მოეჩვენოს, მაგრამ ასეთი რამ არ იქნება მართალი და აი რატომ:

დღეს ყოველ ჩვენგანს ნათლად აქვს წარმოდგენილი და კარგად შეგნებული ის ფაქტი, რომ ჩვენში სკოლების და მასწავლებელთა შტატების შემოკლებამ მოწაფეთა ძლიერი შემჭიდროება გამოიწვია დარჩენილ სკოლებში და საქმე იქამდის მივიდა, რომ ჩვენ მოწმენი გავხდით თვითეულ კლასში სამოცი მოწაფის ყოლისა. ცხადია, მასწავლებელთა და პედაგოგთა შტატების შემოკლება ვერ შეაჩერებდა მოწაფეთა ლტოლვას სკოლებისაკენ და ამის გამო დღევანდელი შრომის სკოლების და ყოველი ტექნიკუმის ყოველ კლასები უკიდურესობამდე სავსე მოწაფეებით.

ეს მოვლენა არ შეიძლება გამართლებული იქნას არავითარი საბუთით. ეკონომიური კრიზისი, მატერიალი ენერგიის სიმცირე და სხვა, არასდროს ისე მწვავედ არ უნდა შეიჭრეს სასკოლო ცხოვრებაში, რომ მისი მიზანი შებღალოს. როდესაც ერთი კლასის პარტებზე სამოცამდე მოწაფე ზის, იმ კლასში შეუძლებელია როგორც ტექნიკურად, ისე იდეურად, მასწავლებელმა თავისი წმიდა მისია შეასრულოს. ვერც ერთი ენერგიით სავსე მასწავლებელი ვერაფერს ვერ გახდება ესოდენ მოწაფეთა შორის. არ შეიძლება აქ დიდაქტიური პედაგოგიური ნორმების სისწორით დაცვა. კლასის სიწყნარე, რაც აუცილებელია ნორმალური გაკვეთილის ჩატარებისათვის, მიუღწეველი იქნება სამოც ბავშვიან კლასში, რომ არაფერი ვთქვათ გაკვეთილის გამოკითხვის შეუძლებლობაზე და ინტელექტუალური ასაკის გაურკვევლობაზე.

ასეთ ანორმალ მდგომარეობაში ხომ არ შეიძლება დატოვებული იქნეს სასწავლებლები, განსაკუთრებით საშუალონი, სადაც უფრო მწვავედ გრძნობენ მოწაფეთა შემჭიდროების უარყოფით შედეგებს. ამ წლის შემდეგ აუცილებლად დაისმება საკითხი სასწავლებელთა რიცხვის გადიდების შესახებ, მასწავლებელთა პერსონალის შტატების გამრავლების და სასკოლო ბინების მომატების შესახებ, რის მეტხაც არაფერს მოითხოვს ჩვენთვის კარგად ცნობილი სემესტრალური სისტემა.

ჩვენ შევეგძლია ხალხის ყოველგვარი მოთხოვნილებისათვის ხარჯები მინიმუმამდე დაგვეყვანა, მაგრამ ეს არ შეგვეძლია გავევრცელოთ სახალხო განათლების საქმეზე. პირიქით, ჩვენ ადტაცებული უნდა ვიყოთ იმით, რომ ჩვენში ყოველწლიურად იმატებს ხარჯები სწავლა-განათლების საქმის უზრუნველსაყოფად. ეს ასეც უნდა იყოს, თორემ წინადმდეგ შემთხვევაში ჩვენი კულტურისა და ცივილიზაციის ევოლიუციას წერტილი დაესმებოდა. აშკარაა, სწავლა-განათლებისათვის საჭიროა მიზანშეწონილად ხარჯების გადიდება, რაც სწავლა-განათლების გადიდებას უდრის.

ამგვარად სკოლების გამრავლების საჭიროებას ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით.

და თუ მოკლე ხანში შემოღებული იქნება სემესტრალური დაყოფა ცალკე დღეული კლასებისა, მაშინ ახალი სასწავლებლების გახსნის საჭიროება დიდი ხნით გადაიდებოდა, ვინაიდან სასწავლებლის ყოველი კლასი ორად გაიყოფა და ორჯერ მეტ მოწაფეს დააკმაყოფილებს. ერთ კლასში 60 მოწაფის მეცადინობა არ შეიძლება და მისი ორ სემესტრად გაყოფის შემდეგ 30 მოწაფეს მიეცემა თავშესაფარი და მასწავლებელიც შეიძლებს თავისი მიზნის სრულყოფას,

ჩვენში შრომის სკოლები თანდათან მრავლდება, მის გამრავლებასთან დაკავშირებულია მოწაფეთა რიცხვის გადიდებაც, რომლებიც მოისურვებენ, შრომის სკოლის კურსის დამთავრების შემდეგ, შევიდნენ საშუალო სასწავლებლებში. არსებული ოთხ კლასიანი საშუალო სასწავლებლები მათ ვერ დააკმაყოფილებს და თავისთავად საჭირო შეიქნება გადიდდეს ტევა (ёмкость) მათი. სემესტრალური სისტემა ამ გარემოებიდან გვიხსნის, აგვაცილებს თავიდან ორი შენობის აგებას, დაგვაკმაყოფილებით სასწავლებლის ერთი გეგმით, ერთი რეჟიმით. ეს კი მოსალოდნელი ხარჯების შემცირების და განათლების საქმის სადგ ნიადაგზე დაყენების მაჩვენებელია.

ჩვენი სკოლები შრომის პრინციპზე შენდებიან და ამ პრინციპის მიხედვით, სხვათა შორის, არ უნდა იყოს არც ერთ კლასში 25—30 მოწაფეზე მეტი. მაშასადამე დღევანდელი სკოლები, უკანასკნელი შემჭიდროების შემდეგ, ღალატობენ შრომის ამ პრინციპს. სემესტრებად დაყოფის შემდეგ, აწმყო სკოლის მოწაფეთა რიცხვი ორად გაიყოფა და თითო სემესტრის მოწაფეთა საშუალო რიცხვი, შრომის პრინციპთან შეფარდებულ მოწაფეთა რიცხვს არ აღემატება და ამ რიგათ ეს პრინციპიც თავის ღირსეულ ალაგს დაიჭერს.

ამ მოსაზრებათა გარდა, ჩვენ ქართულ საშუალო სკოლებს თავისი დღევანდელი მდგომარეობით, მცირერიცხოვანი გამოცდილებით, დღესვე შეუძლიათ გადასვლა სემესტრალურ სისტემაზე იმიტომ, რომ მათი უმრავლესობის ფუნქციონალური შემადგენლობა ორ კომპლექტიანი სახისაა ე. ი. ყოველ ძირითად კლასთან არის პარალელური განყოფილება და ამის გამო ასეთი სასწავლებლები, როგორც საკლასო ოთახების, ისე პედაგოგიური პერსონალის შემადგენლობის მხრივ, დღესვე შეუძლებენ გადასვლას სემესტრალურ სისტემაზე.

ამ სახით ჩვენი საშუალო სკოლების რეფორმამ თავის ორბიტაში უნდა მოაქციოს, წლიური გადაჯგუფების მაგივრად, სემესტრალური განკვეთა, ვინაიდან, როგორც ვნახეთ, მისი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას საშუალებანი ჩვენ ხელთაა, მხოლოდ საჭიროა მისი ამოქმედება და საქმისათვის გამოყენება.

აღნიშნული სისტემის გატარებისათვის მორიგ გადასაწყვეტ საკითხად იმყება მოწაფეთა მიღების წესის გამოარკვევა, მაგრამ ეს საკითხი თავისთავად გამორკვეულად და სასურველ გადაჭრილად ჩაითვლება მაშინ, რაც გავითვალისწინებთ, რომ ყველა სასწავლებელში ერთნაირი სისტემა იქნება შემოღებული და მზგავსი საკლასო პროგრამები ედება მათ სარჩულად, მიღების — მიღება, ცხადია, ორჯერ იწარმოებს.

რაც შეეხება კურსის დამთავრებას შემდეგ საშუალო სკოლებიდან მოწაფეთა გამოსვლებს, ეს გარემოებაც ძალიან ადვილი გადასაწყვეტია. თუ ახალ შეგირდთა მიღება წელიწადში ორჯერ იქნება, (ყოველი სემესტრის დასაწყისს) ასევე დარჩება კურსის დამთავრებისას, გამოშვების შესახებაც — ე. ი. წელიწადში ორჯერ იქნება გამოშვებაც.

ამასთანავე ისიც გავითვალისწინებთ იმას, რომ უნივერსიტეტშიც ორჯერ იქნება სტუდენტთა მიღება, სრულიად ისპობა ის საშიშროება, თითქოს შემოდგომის სემესტრის დროის კურს-დამთავრებულნი, რომლებიც იანვარში გამოვლენ, დასჭირდეთ ოთხი თვის ცდა უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისათვის. ასეთი დაბრკოლება კი, როგორც ვხედავთ, არ არსებობს.

მაშასადამე ყოველივე ზემონათქვამი ადასტურებს სემესტრალური სისტემის შემოღების შესაძლებლობას ჩვენ საშუალო სასწავლებლებში. ყოველგვარი სიძნელე, რომელიც ანგარიშის გაწევას მოითხოვდა, იმდენად ძლიერი არ აღმოჩნდა, რომ ჩინურ კედლად აღმართულიყო ამ სისტემის განხორციელების წინააღმდეგ, პირიქით, ყოველგვარი გარემოებანი ხელს უწყობენ და მოითხოვენ მისი შემოღების აუცილებლობას.

ბ. თავზარაშვილი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ტრიბუნა“ № 307

ნებს თავის ვინაობას, გაიუმჯობესებს თავის ცხოვრების პირობათ და იმ ლდიანი ვერკავ(ვ)ივით იმოქმედებს და იმოდვაწეებს მხოლოდ მაშინ, თუ იგი შეთანხმებით იმოქმედებს რუსის იმ მოღვაწეებთან ერთათ, რომელთაც ასცისკროვნებს მაღალი იდეალები და კაცთ მოყვარეობის სათნოება, სხვა გზა ქართველი ერისთვის არ არსებობს—ეს არის გზა რევოლიუციისა და ამ რევოლიუციის ორიენტაციისა.

ყოველმა ქართველმა კეთილ-სინიდისიერმა მოღვაწემ უნდა შეიგნოს და გულის ფიცარზე წარუშლელად დაიწეროს, რომ იმ მაღალი იდეალების განხორციელება, რომლისაც პატიოსანი ქართველი მოღვაწე თავის გულ მკერდში ატარებს, ავერ ამდენი ხანია, ქართველი ერის ძალ-ღონეს აღემატება, რადგან მაღალი იდეალების სინამდვილეში განადლების ნებას მას, ქართველ ერს, როდი აძლევს მენ სხვა სახელმწიფოები და ერები, როგორც ეს დღეს ცხადათ დაგვანახვა ანტანტის მოქმედებამ რევოლიუციონური რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებით. ეს თუ ასეა, მაშინ ცხადია, რომ ქართველ ერს არ შეუძლია აწარმოვოს რევოლიუცია, რევოლიუციის ინიციატივა მიიღოს თავის თავზე. იმას როლი ისტორიულ პროცესში მხოლოდ დამხმარის როლი იქნება. მთელი იმის ნიჭი და გამჭრიახობა კი ის იქნება, ცხადათ და ნათლად დაინახოს ის, ვისაც ეხმარება და ვისთან დახმარებით იგი განახორციელებს მაღალ იდეალებს თავის ერის უმრავლესობის საკეთილდღეოდ და მთელი კაცობრიობისათვისაც სასარგებლოსა და სანუკვარ საქმეს მოიმოქმედებს. ეს არის ქართველი ერის დანიშნულება და ვალი, ყოველგვარი სხვანაირი იმის მოქმედება კი იქნება უნაყოფო, უნიადაგო და საბედისწეროც კი, რადგან ქართველი ერის საკუთარი ძალღონეს სრულებით აღემატება იმ ძალისა და ენერგიის დახარჯვა, რომელსაც მოითხოვს საზოგადოებათა გადაქმნისთვის წარმოებული, გაჩაღებული, დიდი და თავდადებული გადამწყვეტი ბრძოლა.

ი. ფანცხავა.

# ეკონომიური ცხოვრება

ქვა-ნახშირის მაღაროებში. ტყიბულის ქვა ნახშირის მაღაროებში 1—15 სექტემბრამდე ამოღებულია 567.144 ფუთი ნახშირი. გადაგზავნილია მხოლოდ 9.872 ფუთი, რკინის გზის დაბრკოლების გამო.

თამბაქოს მრეწველობა საქართველოში ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემდეგ. უმაღლეს სამეურნეო საბჭოს თამბაქოს ტრესტი დაარსდა 15 ოქტომბერს 1921 წელს. ამ დღიდან იგი შესდგა წმინდა კომერციულ ნიადაგზე. დღეს ტრესტი აერთებს 8 წარმოებას, რომელთა შორის ქ. ტფილისშია, ხოლო 1 ბათომში. ტრესტი ამზადებს შენაკვეთებს და თანდათან აფართოებს წარმოებას. 15—31 დეკემბრის რიცხვში ტრესტმა გაყიდა 21.516.000 და 23.161 გირ. თამბაქო.

ტრესტმა გააფართოვა თავისი ოპერაციები როგორც საშინაო ისე საგარეო ბაზარზე. საზღვარ გარეთ გაიგზავნა იანვარში თამბაქო და პაპიროსი— 1,3 პრ. ც. თებერვალში თამბაქოს—7.84 პრ. და პაპიროსის—15.6 პრ., მარტში პაპიროსი—2,8 პრ., აპრილში პაპიროსი—25.34 პრ., მაისში თამბაქო—18,10 პრ. და პაპიროსი—32,20 პრ.

კოლოფების ფაბრიკამ მეტად დიდად გააფართოვა წარმოება. შრომის ნაყოფიერება უფრო დიდია, ვიდრე იყო იმამდე. მაშინ მუშა დღიურად აკეთებდა 6,400 ცალ პაპიროს, ეხლა აკეთებს 11.000 ცალს.

რაც შეეხება ოპერაციებს, იგი წარმოადგენს ერთ უდიდეს ოპერაციას არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში.

იანვარში შემოსულია 7.200 მილ. მან. ქართული ბონებით. თებერვალში—13.200 მილ. მან. მარტში—13.200 მილ. მან. აპრილში—18.900 მილ. მანეთი. მაისში—19.300 მილ. მანეთი. ივნისში—16.723 მილ. მანეთი. ივლისში—16.236 მილ. მან. აგვისტოში—19.284 მილ. მან.

სწარმოებს მანქანების და დაზგების შეკეთება. აგრეთვე მიღებულია ზომები ახალი მანქანების შესაძენად.

# სახალხო კომისართა საბჭოში

დამზღვევი საბჭოს მოწყობა.

საქართველოში სოციალური დაზღვევის საქმის სავსებით განსახორციელებლათ შრომის სახალხო კომისარიატს განზრახული აქვს მოაწყოს რესპუბლიკის დამზღვევი საბჭო, რის შესახებ მის მიერ წარმოდგენილია სახალხო კომისართა საბჭოში სათანადო პროექტი დადგენილებისა.

ამ პროექტით განზრახულია დამზღვევ საბჭოში შევიდეს საქართველოს პროფკავშირთა სამი წარმომადგენელი და თითო წარმომადგენელი უმაღლეს ეკონომიური საბჭოსი, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსი და შრომის სახალხო კომისარიატისა. საბჭოს თავმჯდომარეთ უნდა იქნეს შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ან და მის მიერ დანიშნული პირი. დამზღვევი საბჭო, ხელმძღვანელობს რა ამიერკავკასიის დამზღვევი საბჭოს და განკარგულებებით, არის საქართველოს რესპუბლიკაში დაქირავებული მომუშავეთა დაზღვევის საქმეთა უმაღლესი ორგანო, რომლის კომპეტენციაში შედის: მშრომელთათვის შრომის მიერ ზიანს მიყენების ხარისხის გამორკვევა, დასაზღვევი რაოდენობის განსაზღვრა, სოციალურ დაზღვევის შესახებ დადგენილებათა დარღვევის გამო დაჯარიმება, ამ ჯარიმის აკრება და დამნაშავეთა ადმინისტრატიულ და სამსახურობრივი წესით პასუხისგებაში მიცემა, დაზღვეულთა სანიტარული პირობების გაუმჯობესება და სხვა.

# ქართული მუსიკის მდგომარეობა

ჩვენ კარგათ ვიცით თუ როგორის სისწრაფით და რა მედგარ ენერგიით მუშაობდა ქართული სამუსიკო საზოგადოება, რომ მასსაში გავერცელებინა და შეეტანა მუსიკალური კულტურა. მუსიკალური გემოვნება სცდილობდა, რომ ქართველ ხალხის სულიერი მოთხოვნილება გაეღრმავებინა და მეცნიერულ კალაპოტში ჩაეყენებინა. ამ მიზნით გამსჭვალული აგროვებდა ქართულ სიმღერებს სხვა და სხვა კუთხეში, აარსებდა პროვინციებში ფილიალურ განყოფილებებს მუსიკალურ სკოლებით, დაარსა სამაგალითო მომღერალთა გუნდი, რომელშიაც თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო შემოიარა და ყველა მიმდინარე ნელნი აღტაცებაში მოიყვანა (იხ. თანამედროვე გაზეთები).

თქმა არ უნდა, ყოველ ქართველს ესიამოვნებოდა, რომ თავისუფალ საქართველოში ხელოვნება იფურჩქნებოდა, მაგრამ აქაც ამ კულტურულ მისწრაფებას გადაეღობა შავი ღრუბლები. ვიღაცეებს შურით და პროვოკაციული სტატია დაბეჭდეს გაზეთში, ვითომ ხელმძღვანელნი „კაპელასი“ დროის გასატარებლად მგზავრობენ და ტფილისის მუსიკალური სკოლა უპატრონოდ დატოვეს და მოთხოვნილებისათვის კარები დაკეტილია; „მოჰხედეთ სკოლასო.“ ეს იყო ზაფხულში და მოთხოვნილებისთვის კი კანცელარია დანიშნულ დროს ღია იყო.

ამ პროვოკაციამ რომ მათ ვერ უშველა, დაადგნენ სხვა გზას: მოისპეს ფინანსიური მხარე და ყოველი ზომები მიიღეს ფონდის ჩასაშლელად.

თავიანთ მიზანს მიაღწიეს, მუსიკალურ გამგეობამ დაარსა საოპერო სტუდია, რომ შეექმნა საოპერო მომღერალთა კადრი. რამდენიმე ოპერაც დადგა.

აქაც ბნელი ძალები გადაეღობა, ვერც კი მოსპეს, მაგრამ თავის ინტრიგებით და ხრიკებით ქართული საოპერო სტუდია მოისპეს.

მოკლედ, ბნელი ძალა დღე და ღამ ფიქრობდა იმაზედ, რომ ჩაეშალა ყოველი კეთილი მისწრაფება ქართულ სამუსიკო საზ. გამგეობისა.

ასეთ წვალებაში მიმდინარეობდა კეთილი საკულტურო საქმე მენშევიკების დროს.

ეხლა გადავხედოთ თვალიერათ როგორ მიმდინარეობს მუსიკალური საქმე ბოლშევიკების დროს:

ქართული სამუსიკო [illegible] სამუსიკო სკოლა გადაკეთდა 2-ე სახელმწიფო კონსერვატორიად, რამაც ლახვარი ჩასცა დაფუძნებულ მტერ[illegible], რომ სკოლის დახურვის მაგიერ—უფრო გაფართოვდა და ამისთანა ყურადღება მიიქცია სკოლამ.

მთავრობის შეცვლის შემდეგ, ჩვენმა ვაჟბატონმაც შეიცვალა ქურქი. ყველგან სისინი გაისმა, რომ საქართველოს ორი კონსერვატორია არ ესაჭიროება და უსათუოდ უნდა მე-2 კონსერვატორია დაიხუროს.

ეს აზრი მთავარ ხელოვნების კომიტეტში გაიყვანეს კიდეც, საზეზე ლამილი მოეფინათ, მაგრამ სახ. განათლების კომისარმა მათი დადგენილება არ დაამტკიცა.

ამის შემდეგ ვაჟბატონებმა შესცვალეს ტაქტიკა.

რადგანაც დაწესებულებების შემოკლება იყო, იქ დადგა კითხვა, რომ მოესპოთ მე-2 კონსერვატორია, მაგრამ აქაც ხახა გამშრალები დარჩნენ.

ამას შემდეგ მორიგი შურისძიება მოჰყვა. მე 2 კონსერვატორია მოიხსნა სახელმწიფო ულუფისაგან. გამოძიების შემდეგ თურმე ეს განკარგულება შეცდომით ყოფილა, მაგრამ ვინ იყო ამის ავტორი, ეს ვერ გავიგეთ.

ამის შემდეგ იწყება ახალი ხანა: „რეორგანიზაცია სამუსიკო საქმისა მთელ საქართველოში".

პრინციპი იყო მეტად საინტერესო და თითქოს სიმართლიანი.

როცა შეეხება საქმის რეალურ განხორციელებას ნამდვილად კი გამომდინარეობდა მე-2 კონსერვატორიის დახურვა და მის შთანთქმა.

მეტად საინტერესო მოვიყვანოთ მათი სია, ვინც ასე თავგამოდებით დაუღალავ ენერგიით იბრძვის საქართველოს ინტერესებისათვის და მის ბედნიერი აყვავებისათვის: აისბერგ, ჩემოდანოვ, ტანდიტ, მოლჩანოვ და ორიოდე ქართველი.

მოწამე.

# მიაქციეთ ყურადღება

ადამიანის არსებობისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, სულიერი და გონების საზრდო და შენარჩუნება იმ ენის, რომლითაც ის ლაპარაკობს; ადამიანმა რომ მარტო კუჭისათვის იზრუნოს, მისი ცხოვრება მარტო ღორ-მუცლობა იქნება და სხვა არაფერი. გონება განუვითარებელი ადამიანი და თავის კუჭზე მარტო მზრუნავი, ყოველივე ცხოველზედ უფრო დაბლა სდგას. ის ზედმეტი ბარგია ქვეყანაზედ, მას არავითარი პოლიტიკური და ადამიანური მოფიქრება არ შეუძლიან, მარტო კუჭზე ზრუნვა ეს ათასწლეულობით (?) გადაულოცოთ, ძველ ისტორიას გავაცანოთ. დღეს ჩვენ გვჭირია გონების საზრდო, მახვილობა, განათლება, კლასიური გაგება, გარკვეულობა აზროვნებაში. რევოლიუციის ქარ-ცეცხლში გატარებული ქვეყანა ჯერ კიდევ ბურანშია. მას ესაჭიროება აუწყო ყველაფერი იმ ენაზე, რომელსაც ის გაიგებს, მოისმენს. წართმევა იმისი, რაც მას გაჩენიდან შეჰსისხლხორცებია, მის ძვალსა და რბილში გამჯდარა, აზროვნებაში გარკვეულა,—დაღუპავს, გაანადგურებს, დააჩანაკებს, დააჩლუნგებს.

კარლ მარქსის მოძღვრება ქართველ მუშებს და გლეხებს, რომ იმ ენაზე ვუკითხოთ, რა ენაზედაც ავტორმა დასწერა, არა ვფიქრობ, რომ გაიგოს, შეისწავლოს, შეისისხლხორცოს. რა ხდება დღეს? მთელ რკინის გზის ხაზზე, სამართველოებში, სადაც ათი ათასი ქართველი მუშათა და გლეხთა ხელი ტრიალებს, მათდა გაუგებარ ენაზე ებაასებიან უმრავლეს დაწესებულებებში. შეხვდები სოფლიდან ჩამოსულ გლეხს მიყავს „პერეკოლჩიკი" რა არის იქ სათავეში მყოფს გააგებინოს თვისი საჭირო საქმე და დამერწმუნეთ ამაში, რომ ხშირად გ. ერისთავის კომედიას გაგახსენებს, სადაც თერჯიმანი თარგმნის—სასიამოვნოდ და საყვარელი სახე გაქვს. მაგიერ სახე მაპნიანი გაქვსო. ნუ შემოგვაქვს ასეთი გაუგებრობას, გაუფრთხილდეთ ენას ზნეს-ჩვეულება თუ არ გვინდა გადაგვარების კატასტროფაში ამოვაყოფინოთ თავი მუშათა კლასს.

ან. კაციაშვილი.

# ყვერის ბორანი

ყველას მოეხსენება, თუ რა ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს საქმეზე მიმავალი კაცისთვის ბორანით გადასვლას ქალაქის ერთი ნაწილიდან მეორეში.

ყვერის ბორანს დიდი მნიშვნელობა ეძლევა მოქალაქეთათვის. ეს ბორანი მას შემდეგ, რაც ქალაქის ხელში გადავიდა, მოკლებულ[illegible] ხელ[illegible] და ჯეროვანი ყურადღება [illegible] ვისგან ექცევა.

ეს რამდენიმე ხანია ბორანი სრულიად მოშლილია, მაგრამ მოიჯარადრე მაინც არ აჩერებს და კვლავ ამუშავებს. ყოფილა ისეთი შემთხვევები, როდესაც მიდიან ერთი ნაპირიდან წამოსულ ბორანს მეორე ნაპირამდის ვერ მიუღწევია მთელი ნახევარი საათის განმავლობაში და ბორანზე მყოფ ხალხს შიშისა და ვაი ვაგლახის ქვეშ მყოფთ, შუა მდინარეზე უხდებათ ტორტმანი.

ხიდები ძალიან მოკლე აქვს და უსახელურო. ამას გარდა ეს მოკლე ხიდები ვერ სწვდებიან იმ ალაგს მდინარეში სადაც დგება ბორანი.

მდინარეზე გაბმული ჯაჭვები ძალიან მოშვებულია და დაჭიმვას მოითხოვენ, თორემ ერთ მშვენიერ დღეს ადიდებულ მდინარეს შეუძლია გაწყვიტოს ის ჯაჭვები და ადამიანის მსხვერპლიც მოყვება აუცილებლად.

როგორც ვსთქვით, ხიდები იმდენად მოკლენი არიან ორივე ნაპირზე, რომ საჭირო ხდება ხიდამდის მოხმარებული ბორანი გრძელი ბაწრით მიათრიონ ნაპირამდის. [illegible] შეუძლია ბორანის მსახურს და ხიდთან მოახლოვებისას, [illegible] ხიდზე მდგომ გასასვლელად მოუთმენელ მოქალაქეებს, ეს უკანასკნელი კი რაც ძალი და ღონე აქვს ექიმება თავისკენ [illegible] და [illegible] ძლივს აღწევს ნაპირს.

ხანდახან კი (განსაკუთრებით მდინარის, მარცხენა ნაპირზე) ისე ღრმად ჩერდება წყალში ბორანი, რომ თავკი ვერც კი წვდება ხიდის თავს, რის შემდეგაც არის ბორანის მდინარეზე ტორტმანი მთელი საათობით.

საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება ქალაქის აღმასკომმა, რომ მოიჯარადრის თავგასულობა აილაგმოს და მოქალაქეთ მიეცეთ უფლება ბორანით თავისუფალი სარგებლობისა.

გამვლელი.

# მოწერილი ამბები

**წერილი გურიიდან.** ყველამ კარგათ იცის, ვინც თვალს ადევნებს ჩვენს გაზეთს, თუ ამას წინათ გურიაში როგორ მიმდინარეობდა კულტურული მუშაობა და რანაირი სიმშილი გადაიტანა მან. წარმოუდგენელია, რომ გურია მომავალში გაჯანსაღებული და მაძღარი დარჩეს; წელს გვალვების გამო საკმაო ადგილები დარჩა დაუთესავი.

მდინარეების მახლობლად კარგ მოსავლიანი ადგილები სექტემბრის პირველ რიცხვებში ზღაპრულმა წყალდიდობამ წალეკა და დიდი ზარალი მოიტანა. მდინარე ბჟუჟმა წალეკა ქ. ოზურგეთი, იყო ადამიანის მსხვერპლიც. წყალმა წაიღო წისქვილები, ახლო მდებარე მცხოვრებლები, ხიდები და სხვათა შორის დაანგრია დ. ხიდისთავის ხიდი, რომელზედაც დიდი შრომა იყო დახარჯული და რომლის დასრულებას ცოტა და აკლდა. არავის ახსოვს ისეთი ძლიერი წყალ-დიდობა, როგორიც წელს იყო და რომელიც რისხვად მოევლინა გურიის მშრომელ ხალხს. გაავრცელეს ათასგვარი ჭორები, ჩაერია დახავსებული სამღვდელოება.

არასოდეს არ ყოფილა გურიაში ისე გახშირებული ავადმყოფობა, როგორც წელს არის.

და ყოველივე ის მიზეზები, რომლებიც ჩვენ ჩამოვთვალეთ, ხელს უშლის კულტურულ მუშაობას.

მეტი ყურადღება გურიას!

საქართველოს ერთ მშვენიერს, რევოლიუციონურ კუთხეს!

—

**დ. ჩოხატაურში „სტუდენტთა საღამო".** სოფლად კულტურულ მუშაობას დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩოხატაურის თეატრი მუდამ შესანიშნავი იყო ადგილობრივი ნიჭიერი სცენის მოყვარეების წყალობით.

ამას წინად აქვე არსებულ „სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების" მიერ ტეხნიკუმის დარბაზში გამართულ იქმნა „სტუდენტთა საღამო" ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოთ, რასაც საკმაო ხალხი დაესწრო.

ნაკლად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ განცხადებებში გამოქვეყნებულ პიესის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა" მაგიერად დადგეს „სიზმარი კოშკში".

პიესის შემდეგ ეორა გურგენიძემ წაიკითხა „შეშლილის წერილები" გოგოლიდან.

ეს ახალგაზრდა კარგა ხანია ჩოხატაურის სცენაზე მოღვაწეობს... ნიჭიერი და ენერგიული ყმაწვილია. საჭიროა მისთვის ფრთების გაშლა შეგნებული აუდიტორია, საზოგადოებამ უნდა მიაქციოს მას ჯეროვანი ყურადღება, რომ ჩოხატაურის სცენამ არ ჩაყლაპოს ქართული სცენის მომავალი ბუმბერაზი.

ერთი შენიშვნა: მე მგონია შეშლილის როლის ასრულების დროს საჭიროა მეტი სისწრაფე... დამსწრე საზოგადოებამ მსახიობური ნიჭით დაჯილდოვებული ეორა გურგენიძე მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი: საკუთარი ლექსები წარმოსთქვეს: ვლასა ჯიბლაძემ, ფილიმონ ჯიბუტმა, ეორა ხუნდაძემ, დ. კობიძემ, ფ. კეკელიძემ და სხვათა შორის დარეჯან ძნელაძის ასულმა წაიკითხა ი. გრიშაშვილის ლექსი „ოცნების ხილთაითმანი".

ბოლოს კი ენერგიითა და სიცოცხლით აღსავსე შ. კალანდაძემ, რომლის თვითვეული ნაბიჯის გადადგმა საზოგ. საკეთილდღეოდ ხდება, წაიკითხა თეოფილე კეკელიძის ლექსი.

დასახელებულთა შორის არ გამოსულა არც ერთი ახალგაზრდა, რომ საკუთარი ლექსი წაეკითხოს ისე, როგორსაც მოელოდა დამსწრე საზოგადოება და არ იყო დივერტისმენტი მოწყობილი ისე, როგორათაც სასურველი იყო.

მე გამაკვირვა ერთმა რამემ:

აცხადებენ: „ახლა ლექს წაიკითხავს სახელგანთქმული ახალგაზრდა, ნიჭიერი პოეტი ,,ფოთოლი''. გამოდის და ლექს კითხულობს ფ. კეკელიძე—,,ფოთოლი'' ალბათ მისი ფსევდონიმია. ვისაც უყვარს ხელოვნება და ვინც გულწრფელად ეწაფება მის ანკარა წყაროს, ჯერ არაფერი წაუკითხავს ამ ,,სახელ-განთქმული პოეტისა—,,ფოთოლისა''. არც მწერალთა კავშირში ირიცხება წევრად და არც ახალგაზრდათა ლიგაში შემხვედრია სადმე ამ სახელ განთქმული პოეტის'' სახელი.

ჩემს დასახელებულ ახალგაზრდებიდან, რომლებმაც წარმოსთქვეს საკუთარი ლექსები არიან ისეთები, რომლებსაც დაინტერესებული ქართველი მკითხველი (გამონაკლისს ამ შემთხვევაში ,,ფოთოლი' შეადგენს) ორი-სამი წელია იცნობს და რომელთა ფსევდონიმების დასახელებას აქ საჭიროდ არ ვსთვლი; მაგრამ ისინი აუდიტორიას არ მოევლენიან ისე როგორც ,,ფოთოლი'' მოევლინა.

გავაგრძელეთ საუბარი ,,ფოთოლზე'', მაგრამ ვგონებ მკითხველი არ დაგვძრახავს, რადგან მე მსურს, რომ მას გავაცნო ,,სახელოვანი პოეტი'' ,,ფოთოლი''.

შეიძლება ფოთოლს კარგი მომავალი დაურჩეს, მაგრამ სიამაყეს ხშირად გადაჩეხა მოსდევს.

დივერტისმენტის შემდეგ გაიმართა ბალეტი, იყო ცოცხალი სურათები, ცეკვა პრიზით და სხვა მრავალი გასართობები. საზოგადოება კმაყოფილი დაიშალა.

სასიხარულო ნაბიჯია გადადგმული ,,სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების" მიერ; სასიამოვნო იქნება სხვებიც მიბაძავდენ მას და აღმოუჩენდენ დახმარებას სტუდენტობას, ჩვენს მომავალს!..

დ. ივანიშვილი.

# თეატრი და ხელოვნება

## დისპუტი თეატრზედ.

ოქტომბრის 2: კონსერვატორიის დარბაზში ამხ. სუტირინმა წაიკითხა მოხსენება „თეატრი და ცხოვრების რიტმი". გამოცხადებული იყო, რომ ეს მოხსენება წარმოადგენს პასუხს გრ. რობაქიძის მიერ წინა ორშაბათს წაკითხულ მოხსენებაზედ: „თეატრი როგორც რიტმი ცხოვრებისა".

ამხ. სუტირინი შეეცადა მარქსისტული თვალსაზრისით გაეშუქებია ხელოვნება საზოგადოდ და კერძოდ თეატრი, მაგრამ მეტად სუსტი აღმოჩნდა. ჩვენი აზრით, მომხსენებლის სისუსტე ამ შემთხვევაში უნდა მიეწეროს თვით მარქსისტულ თეორიის სისუსტეს, ვინაიდან ამხ. სუტირინი არ ყოფილა დილეტანტი ხელოვნების საკითხში. მას თითქმის დამთავრებული ჰქონია უმაღლესი მუსიკალური სასწავლებელი, კონსერვატორია და მაშასადამე, ესთეტიკა საფუძვლიანად აქვს შესასწავლილი. გარდა ამისა, როგორც ლექტორი, ფრიად კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. ყოველივე ეს ნებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამხ. სუტირინის სისუსტემ დაამტკიცა სისუსტე თვით იმ თეორიისა, რომელსაც იცავდა. ასეთი შთაბეჭდილების გაფანტვას შეეცადა ამხ. აუერბახი, რომელმაც მარქსიზმის გადასარჩენად გასწირა მომხსენებელი; მან უსაყვედურა უკანასკნელს, რომ ასეთი მოხსენებით გამოსვლა არ შეიძლება ასეთ სერიოზულ საკითხის შესახებ, არ ვარგა საკითხის გამარტივება, რომ დღეს აღარ გამოდგება ოციოდე წლის წინად პლეხანოვის და სხვების მიერ ნახმარი საბუთები, რომ შესაძლებელი და საჭირო იყო უფრო ვრცელ და სერიოზულ მოსაზრებათა წამოყენება და სხვა.

აშკარაა ამხ. აუერბახი უსამართლოდ მოექცა მომხსენებელს, ვინაიდან სხვა საბუთების წამოყენება მას არ შეეძლო, თუ არ დაშორდებოდა მარქსიზმს. მართალია სუტირინი სუსტი მომხსენებელი იყო, მაგრამ ის მარქსისტად დარჩა. მოქ. აუერბახი კი უსათუოდ სუსტი მარქსისტია.

რომ მარქსისტული თეორია ესთეტიკაში ვერ უძლებს კრიტიკას, ამის დასამტკიცებლად მოვიყვან ერთ მაგალითს აღნიშნული დისპუტიდან. მომხსენებელი ამტკიცებდა: მდგომარეობა ჰქმნის შეგნებას და ამიტომ ყოველ ეპოქას, ყოველ კლასს თავისი განსხვავებული მსოფლმხედველობა აქვს [illegible] თავისებურად ესმის ხელოვნება, ამის საწინააღმდეგოდ ერთმა ოპონენტთაგანმა, მოქ. [illegible] მოიყვანა შემდეგი მაგალითი: [illegible] და [illegible], როგორიც იყვნენ დიოგენი და ლ. ტოლსტოი, დაახლოვებით ერთნაირ მსოფლმხედველობას იცავდნენ. იცით მერმე რა უპასუხა ამაზედ მომხსენებელმა? ამ ორ ფილოსოფოსს იმიტომ შეუმუშავდათ მსგავსი მსოფლმხედველობა, რომ ერთნაირი მდგომარეობა ჰქონდათ, ვინაიდან [illegible] და დიოგენი [illegible] მკითხველმა კარგათ იცის—ვინ იყო ტოლსტოი: უმაღლესი არისტოკრატი, გრაფი, მდიდარი მემამულე, [illegible]. დიოგენი კი გახლდათ ჩამომავალი მონა, უბრალო ქვის მთლელის შვილი, სრულიად [illegible] მქონე, ტიპიური პროლეტარი ძველი საბერძნეთისა. აი ასეთ პირებზედ ამბობს მოქ. სუტირინი, რომ ერთი წრის, ერთი მდგომარეობის ხალხი იყო და ამიტომ შეუმუშავდათ ერთნაირი მსოფლმხედველობაო!.. გარდა ამისა, ვინ არ იცის, რომ ტოლსტოი ფეხშიშველობამ კი არ მიუყვანია მის მსოფლმხედველობამდე, არამედ, პირიქით, ამ მსოფლმხედველობამ მიიყვანა ფეხშიშველობამდე. ასეთია მარქსიზმის არგუმენტაცია ამ საკითხში.

გრ. რობაქიძემ მოკლედ გაიმეორა მთავარი დებულებანი თავისი წინანდელი მოხსენებისა და ბრწყინვალე მჭერმეტყველებით დაუმტკიცა დამსწრე საზოგადოებას, რომ ამხ. სუტირინის მოხსენება არ იყო პასუხი მისი უწინდელი მოხსენებისა, ვინაიდან არ შეხებია მის არც ერთ მთავარ დებულებას.

მომხსენებელი საპასუხო სიტყვაში შეეცადა დაემტკიცებია წინააღმდეგი, რომ ის რობაქიძეს უპასუხებდა, მაგრამ, ვფიქრობ, ბევრს ვერ დაარწმუნებდა ამაში.

დილეტანტი.

—

**დრამატიული სტუდიის გახსნა.**

გუშინ რუსთაველის სახელობის თეატრში გაიხსნა ქართული დრამატიული სტუდია. სტუდიის გახსნას დაესწრო გარდა სტუდიელებისა და მასწავლებელთა კორპორაციისა, საპატიო სტუმრები, წარმომადგენლები სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებების. სტუდია გახსნა სტუდიის ხელმძღვანელმა რეჟისორმა აკაკი ფაღავამ, რომელმაც შესავალ სიტყვაში დაახასიათა ქართული თეატრის წარსული და აწმყო, აღნიშნა სტუდიის მნიშვნელობა საერთოდ და კერძოდ ჩვენი ქვეყნისათვის და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დაწყებული საქმის სათანადოდ დამთავრებისათვის აუცილებელია როგორც სტუდიელთა შეუპოვარი ენერგია და სისტემატიური, ხანგრძლივი მუშაობა, ისე საზოგადოებისა და ხელისუფლებისაგან მორალური და მატერიალური დახმარება.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა [illegible] ტეხნიკის მასწავლებელმა დავითაშვილმა, რომელმაც დაახასიათა ტეხნიკის მნიშვნელობა მსახიობისათვის, რეჟისორმა მიხ. ქორელმა, რომელმაც მოგვცა მოხდენილი და სწორი დახასიათება ჩვენი თეატრალური საქმის და რეჟისორმა მარჯანიშვილმა, რომელმაც მოულოდნელი იმედი გამოსთქვა იმის გამო, რომ სტუდიაში მისაღებმა გამოცდებმა ის დაარწმუნა, რომ შესაფერი კონტინგენტი არის უკვე მზად მუშაობისათვის.

საზეიმო სხდომის შემდეგ სტუმართათვის გაიმართა ბანკეტი.

სტუდიაში შეკრებილია საუკეთესო ძალები. სტუდიელები არ მოგვაგონებენ სცენის მოყვარეთა სახეებს. ინტელიგენტური და სათანადო ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდობა წარმოადგენს სტუდიელთა კონტინგენტს. საუკეთესო თეატრალური ძალები არის მოწვეული ხელმძღვანელებად და უნდა აღინიშნოს, რომ ახლად დაარსებული სტუდია აუცილებლად შესძლებს თავის დანიშნულების შესრულებას თუ კი მას დახმარებას გაუწევს საზოგადოება და ხელისუფლება. მადლობის ღირსია სტუდიის ხელმძღვანელი აკაკი ფაღავა და სტუდიის სათავეში მდგომი მოღვაწენი.

დამსწრე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

ტირაჟი 1880
საქართვ. უმაღ.მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა კრუზენშტერნის ქუჩა.